უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 20 0000846942

16/09/2020

შპს კავკასიის უნივერსიტეტისთვის სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 86-ე მუხლი პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტს (ს/კ: 205050567) მიენიჭოს უფლებამოსილება დაიმატოს და განახორციელოს სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

№	**პროგრამის დასახელება**	**სწავლების ენა**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)**	**განხორციელების ადგილი**	**საფეხური**	**ECTS**
1.	სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	ინგლისური	ტურიზმის მაგისტრი 1015	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	მაგისტრატურა	120

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 16 სექტემბრის №820343 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლისხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ